

<b>ქიმიის უწყებანი</b> სამეცნიერო-პოპულარული ონლაინ ჟურნალი E-ISSN 2233-3452	მთავარი	სტატიები	ავტორებისათვის	ჩვენს შესახებ	ჩამოტვირთვები	კონტაქტი
---	---------	----------	----------------	---------------	---------------	----------

## სტატიის გამოქვეყნება 1-5 დღეში

### ავტორებისათვის

#### მიზნები და ამოცანები

საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის ჟურნალი „ქიმიის უწყებანი“ წარმოადგენს ელექტრონულ ჟურნალს და აქვეყნებს სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის სტატიებს, ქართულ და ინგლისურ ენებზე ქიმიის, ქიმიური ინჟინერინგისა და მათი მონათესავე დარგებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი მოიცავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფართო სპექტრს, იგი ძირითად ფოკუსირებას აკეთებს ახალი მასალებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ამსახველ შრომებზე.

სარედაქციო კოლეგიის მოვალეობაა უზრუნველყოს ჟურნალში დაბეჭდილი სტატიების მაღალი სამეცნიერო დონე.

კრებულში წარმოდგენილი სტატია უნდა იყოს ორიგინალური, მოიცავდეს გარკვეულ სიახლეს და არ უნდა იყოს უკვე გამოქვეყნებული ან განიხილებოდეს გამოსაქვეყნებლად სხვა რომელიმე ჟურნალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მასზე არ არის გაკეთებული წინასწარი შეტყობინება („წერილი რედაქტორს“, „შეტყობინება“).

თითოეული წარმოდგენილი შრომა გაივლის რეცენზირებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ორიგინალურობა, შედეგების საიმედოობა და მოცულობა, პირველი ორის სამეცნიერო ღირებულების გათვალისწინებით.

შრომები, რომელიც მოიცავს უკვე ცნობილი მონაცემების უმნიშვნელოდ გავრცობას დასაბეჭდად არ მიიღება. ავტორებს უარი ეთქმებათ იმ შემთხვევაშიც, თუ ნაშრომი მოიცავს სუსტ ან საერთოდ არ მოიცავს ინოვაციურ მასალას მასში დასმული პრობლემის გადაწყვეტისათვის.

#### საავტორო უფლებები

ჟურნალში „ქიმიის უწყებანი“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ავტორს.

## **ნაშრომის განხილვის პროცედურა:**

მანუსკრიპტის წარდგენა ჟურნალის რედაქციაში წარმოებს ონ-ლაინ რეჟიმში.

ავტორმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია შესაბამის გვერდზე და ატვირთვოს ნაშრომის ფაილი MS-Word ფაილის ფორმატში. მანუსკრიპტი მომზადებული უნდა იყოს ინსტრუქციის შესაბამისად.

პასუხისმგებელი რედაქტორი განიხილავს მანუსკრიპტს და უკეთებს რეცენზირებას 1-3 სამუშაო დღეში.

რედაქტორს უფლება აქვს დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი კორექტირებისათვის.

რედაქტორის ნებისმიერი გადაწყვეტილება ავტორს ეცნობება წერილობით.

ჟურნალის ნომერის სრულად დაკომპლექტების შემდეგ ავტორს შეუძლია მოითხოვოს ჟურნალის ნომრის ელექტრონული ვერსია (pdf ფორმატში).

## **მანუსკრიპტის მომზადება**

მანუსკრიპტი ფორმდება A4 ფორმატის თაბახზე. გვერდები უნდა დაინომროს გამჭოლად.

- ფონტი – Sylfaen
- ფონტის ზომა – 11 პუნქტი,
- ინტერვალი – 1 პუნქტი.
- მანუსკრიპტი საერთო მოცულობა – არანაკლებ 1000 სიტყვა (≈4-5გვერდი) და არაუმეტეს 10-11 გვერდისა.
- მინდორი – 30 მმ (მარცხნივ), 25 მმ (მარჯვნივ), 25 მმ (ზევით), 25 მმ (ქვევით)

მანუსკრიპტი უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს (არა აუცილებელი პუნქტები მოცემულია აღნიშნულია ვარსკვლავით):

- სათაური
- ავტორები
- ორგანიზაცია
- მისამართი
- რეზიუმე

- საკვანძო სიტყვები
- შესავალი
- სტატიის ძირითადი ნაწილი (შედეგების განსჯა)
- ექსპერიმენტული ნაწილი\*
- დასკვნა
- მაღლიერება\*
- გამოყენებული ლიტერატურა

## სათაური

მანუსკრიპტი სათაური უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე, მაგრამ იმავდროულად ზუსტად უნდა ასახავდეს ნაშრომში დასმულ სამეცნიერო პრობლემას.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა –12 პუნქტი, ფონტის სტილი - მსხვილი შრიფტი.

## ავტორები

ავტორები მიეთითება მისი ინიციალისა და გვარის მიხედვით. რამდენიმე ავტორის არსებობის შემთხვევაში ავტორები ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით („ , “), ხოლო კორესპონდენტი ავტორის გვარი მიეთითება ვარსკვლავით („\*“).

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა – 11 პუნქტი, ფონტის სტილი - მსხვილი შრიფტი.

ნიმუში: ა. გიორგობიანი, ბ. ქავთარაძე\*

## ორგანიზაცია

უნდა მიეთითოს იმ ორგანიზაციის ზუსტი დასახელება, სადაც შესრულდა კვლევა. თუ ავტორები წარმოდგენენ სხვადასხვა ორგანიზაციას, მაშინ ორგანიზაციები დაინომრება არაბული რიცხვებით, ხოლო თითოეული ავტორის შემდეგ შესაბამისი ორგანიზაცია მიითითება ხარისხის რეგისტრში ატანილი არაბული რიცხვით.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა – 10 პუნქტი, ფონტის სტილი – რეგულარული (ნორმალური) დახრილი.

მაგ.

**ა. გიორგობიანი, ბ. ქავთარაძე\***

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

**ა. გიორგობიანი<sup>1</sup>, ა. გელიაშვილი<sup>1</sup>, ბ. ქავთარაძე<sup>2\*</sup>**

<sup>1</sup> საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, <sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **მისამართი**

მითითებული უნდა იყოს ელ-ფოსტა.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა – 10 პუნქტი, ფონტის სტილი – რეგულარული (ნორმალური) დახრილი.

ნიმუში: [avtori@domen.ge](mailto:avtori@domen.ge).

## **რეზიუმე**

რეზიუმე ტექსტს ორივე მხრიდან (ზევიდან და ქვევიდან) უნდა გამოიყოს ცარიელი აბზაცებით. მისი მოცულობა უნდა შეადგენდეს 100-150 სიტყვას. რეზიუმეში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობა. დაუშვებელია რეზიუმეში მხოლოდ ზოგადი პოსტულატებით შემოფარგვლა.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა – 11 პუნქტი, ფონტის სტილი – რეგულარული.

## **საკვანძო სიტყვები**

უნდა მიეთითოს ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული 5 საკვანძო სიტყვა. საკვანძო სიტყვების შერჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეცნიერთა ფართო წრისათვის მიღებულ ტერმინოლოგიას.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა– 10 პუნქტი, ფონტის სტილი - რეგულარული.

## **შესავალი**

შესავალი წარმოადგენს ნაშრომის ძირითადი ტექსტის პირველ ნაწილს. მასში მოკლედ და ამომწურავად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობა და სიახლე. შესავალში ასევე უნდა გაკეთდეს აღნიშნული პრობლემის შესახებ გამოქვეყნებული შრომების მოკლე მიმოხილვა.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა– 11 პუნქტი, ფონტის სტილი -რეგულარული.

## **ძირითადი ნაწილი**

იგი წარმოადგენს ძირითადი სტატიის უმთავრეს ნაწილს. შესაძლებელია ძირითადი ნაწილი დასახელდეს ქვესათაურით. დასაშვებია ძირითადი ნაწილის დაყოფა ქვენაწილებად.

მიღებული შედეგების წარმოდგენისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ცხრილები, ნახაზები, დიაგრამები, სურათები და სხვ. ამასთან, დაუშვებელია ერთი და იგივე შედეგის ორი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა („ინფორმაციული ტავტოლოგია“). ამასთანავე, ძირითადი ტექსტიდან უნდა იყოს მიმართება ცხრილებზე, ნახაზებზე, დიაგრამებზე, სურათებზე და სხვ. ან მათში მოცემულ მონაცემებზე.

აუცილებელია ცხრილების, ნახაზების, დიაგრამების, სურათების და სხვ. გამჭოლი ნუმერაცია და დასახელება. დასახელება მოკლედ და კონკრეტულად უნდა ასახავდეს მის შინაარსს.

ფონტი Sylfaen, ფონტის ზომა– 11 პუნქტი, ფონტის სტილი - რეგულარული.

## **ექსპერიმენტული ნაწილი\***

ექსპერიმენტული სახის ნაშრომებისათვის აუცილებელია ექსპერიმენტული ნაწილი დართვა. მასში უნდა იქნას აღწერილი ექსპერიმენტში გამოყენებული მასალები, მეთოდები და პროცედურები იმდენად დეტალურად, რომ სხვა ექსპერიმენტატორს მისი განმეორების საშუალება ჰქონდეს. ახალი ექსპერიმენტული პროცედურები უნდა იყოს დეტალურად აღწერილი, ხოლო ის ექსპერიმენტი, რომელიც უკვე ერთხელ მაინც იყო აღწერილი რაიმე სახის ლიტერატურაში, მისი დეტალური აღწერა არ არის საჭირო. როგორც წესი, იგი მიეთითება ლიტერატურის სახით.

## **სიმბოლოები**

ტექნიკური სახის ტექსტების გაფორმებისას, როგორც წესი, აუცილებელია სხვადასხვა სახის სიმბოლოების გამოყენება. ტექსტში უშუალოდ მითითებული მარტივი სიმბოლოებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ფონტი „Symbol“.

ათწილადებში მეთადის ნიშნად გამოიყენება წერტილი „ . “

## **მათემატიკური ფორმულები**

მათემატიკური ფორმულები შესრულებული უნდა იქნას MS Word-ის მათემატიკური ფორმულის რედაქტორის საშუალებით. სიმბოლოების შრიფტი Calibra ან Times New Roman, ზომა - 11 პუნქტი.

## **ქიმიური ფორმულები**

ქიმიური სტრუქტურული ფორმულები და რეაქციის სქემები შესრულებულ უნდა იქნას ქიმიური რეაქციების რედაქტორების ChemDraw, ChemSketch ან ISIS Draw-ს საშუალებით. ChemSketch და ISIS Draw-სპროგრამების უფასო ვერსიები შეიძლება ჩამოტვირთული იქნას მათი ოფიციალური ვებ-გვერდებიდან. <http://www.acdlabs.com/download/> და [www.mdl.com](http://www.mdl.com)

სტრუქტურული ფორმულების აგებისას გამოყენებულ უნდა იქნას ACS-სტილი, რომელიც მოიცავს:

ფონტის ზომა - 10 პუნქტი  
ბმის სიგრძე - 5.1 მმ  
ბმის ტიპი - 0.7 pt

## **ნახაზები, დიაგრამები**

ნახაზები და დიაგრამები უნდა იყოს შექმნილი დაგვარად მცირე ზომის. მათი ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. თუ ნახაზის ან დიაგრამის რაოდენობა 1-ზე მეტი არ არის, მაშინ ნომერი არ იწერება. ნახაზები და დიაგრამები უნდა იყოს მოთავსებული ჩარჩოში. რეკომენდირებული ზომა არის (70-80)x(70-80) მმ. შექმნილი დაგვარად ყველა ნახაზი უნდა იყოს ერთი და იგივე ზომის, ან როგორც მინიმუმ, ერთი და იგივე სიმაღლის. განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია (70-160)x(70-200) მმ ზომის ნახაზების გამოყენება. გრაფიკების წირები შესრულებული უნდა იქნას შედარებით უფრო მუქი წრფეების საშუალებით, ვიდრე საკორდინატო ღერძები. გრაფიკები დიაგრამებზე უნდა დაინომროს არაბული ციფრებით. ასევე დასაშვებია დამატებით სიმბოლოების (●, ○, □, ▽, ▹, ◆, ◇, ●) გამოყენება.

ელექტრონულად აგებული გრაფიკები შენახული უნდა იქნას გრაფიკული ფაილის ფორმატში: TIFF, Jpg, PDF მინიმალური რეზოლუციით 300 dpi.

სკანერით ჩაწერილი გრაფიკები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ხარისხი იქნება ელექტრონულად აგებული გრაფიკების ექვივალენტური.

## **ცხრილები**

ცხრილის ზომა უნდა იყოს მაქსიმალურად მცირე. მისი სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 160 მმ-ს. როგორც წესი, ცხრილების გამოყენება სამეცნიერო ნაშრომს უფრო ინფორმაციულს ხდის. მაგრამ დაუშვებელია ცხრილებსა და დიაგრამებზე ერთი და იგივე ინფორმაციის მოტანა.

ცხრილები უნდა დაინომროს არაბული ციფრებით გამჭოლად. თუ ცხრილის რაოდენობა 1-ზე მეტი არ არის, მაშინ ნომერი არ იწერება. თითოეული ცხრილი უნდა დასახელდეს. სვეტების დასახელებები უნდა იყოს რაც შეძლება მოკლე. ინფორმაციის კომპაქტურობისათვის მიზანშეწონილია ცხრილებში სქოლიოების გამოყენება, რომლის აღნიშვნაც წარმოებს ხარისხად ატანილი ლათინური ანბანის ასოებით. ცხრილის იმ უჯრაში, სადაც არ არის მონაცემი, დაისმება ღეფისი.

## **განზომილებები**

ფიზიკური სიდიდეების განზომილებებისათვის გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ განზომილებათა SI სისტემის ერთეულები. განზომილების ერთეული მისი რიცხვითი მნიშვნელობიდან გამოიყოფა „ჰარით“.

ნიმუში: 10 °C, 100 კგ.

## **დასკვნა**

ძირითადი ტექსტის ბოლო ნაწილს წარმოადგენს დასკვნა, რომლიც მოცულობაც უნდა იყოს 50-100 სიტყვა. მასში მოკლედ და მაქსიმალურად ინფორმაციულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის ძირითადი შედეგები, რომელიც მიღებულია სამეცნიერო ნაშრომში.

## **მადლიერება\***

ავტორებს უფლება აქვთ გამოთქვან მადლიერება იმ პირებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს აღნიშნული კონკრეტული სამუშაოს შესრულებაში. ამასთან პიროვნების ან ორგანიზაციის დასახელებისას უნდა მითითებულ იქნას მათი კონკრეტული წვლილი.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

სამეცნიერო ნაშრომში აუცილებელია ბიბლიოგრაფიული მონაცემების მითითება IEEE სტანდარტით.

გამოყენებული ლიტერატურის მითითება უნდა მოხდეს მხოლოდ ძირითად ტექსტის ისეთ ნაწილებში, როგორცაა „შესავალი“, „შედეგები და მათი განსჯა“ და „ექსპერიმენტული ნაწილი“. დაუშვებელია ლიტერატურის მითითება რეზიუმეში და დასკვნაში. ძირითად ტექსტში

ლიტერატურის მითითება როგორც წესი წარმოებს აბზაცის ბოლოს კვადრატული ფრჩხილების გამოყენებით. ნუმერაცია უნდა იყოს გამჭოლი და მზარდი.

ნიმუში:

### სტატია:

ინიციალი. [ინიციალი]. გვარი, [ინიციალი.] [ინიციალი]. [გვარი]. „სრული სათაური“. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა, ტომი , [ნომერი,], გვ. დასაწყისი–დასასრული, წელი.

მაგ.:

Q. Zhou, „Chemical Pollution and Transport of Organic Dyes in Water–Soil–Crop Systems of the Chinese Coast,“ *Bull. Environ. Contam. Toxicol*, Vol. 4, No. 4, pp. 784-793, 2001.

### წიგნი:

ცალკეული გვერდების მითითებისას:

ინიციალი. [ინიციალი]. გვარი, [ინიციალი.] [ინიციალი]. [გვარი], სრული სათაური, [გამოცემის ნომერი], [ტომი ], გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, გვერდების დასაწყისი-გვერდების დასასრული გვ.

მაგ.:

J. Morrison, G. Tittse, *Organic Chemistry*, 2 Ed., Vol 2, London: Willey and Sons, 2015, . 560-580.

### მთლიანი წიგნის მითითებისას:

ინიციალი. [ინიციალი]. გვარი, [ინიციალი.] [ინიციალი]. [გვარი], სრული სათაური, [გამოცემის ნომერი], [ტომი ], გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, გვერდების რაოდენობა გვ.

J. Morrison, G. Tittse, *Organic Chemistry*, 2 Ed., Vol 2, London: Willey and Sons, 2015, p. 560.

### პატენტი:

ინიციალი. [ინიციალი]., გვარი, [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი patent. პატენტის ნომერი. გამოქვეყნების თარიღი

G. Morrison, "Preparation of azomethones". USA Patent 1456976, 10 4 2015.



## **კონფერენციის თეზისი**

ინიციალი. [ინიციალი]., გვარი, [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური.  
კონფერენციის დასახელება, ჩატარების ადგილი, წელი,

J. Kramer, "New method of the acylation," in *chemisrty international conference*, Wien, 2016.

## **გლობალური ქსელი:**

ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

მაგ.:

<http://patft.uspto.gov/netacgi/doc.html>, უკანასკნელად გადამოწმებულია - 5.03.2007.

## **რეზიუმე**

რეზიუმეები უნდა შესრულდეს ქართულ და ინგლისურ ენაზე. ამასთან ისინი უნდა იყვნენ ნაშრომის ენის შესაბამისი რეზიუმეს ზუსტი ანალოგი.

## **დამატებითი ინფორმაცია**

ჟურნალის ვებ-გვერდიდან შეგიძლიათ ჩამოწერთ სტატიის [შაბლონები](#).